ეკატერინე გლოველი

შჩეჩინის უნივერსიტეტი, პოლონეთი

Erasmus+ აკადემიური პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, 2023 წლის ივნისის თვეში ვიმყოფებოდი პოლონეთში, შჩეჩინის უნივერსიტეტში.

მობილობის პროგრამის ფარგლებში შევხვდი როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სტუდენტებს ესპანეთიდან, იტალიიდან, კამბოჯადან და ა.შ. ლექციები ჩავატარე ტურიზმის სტატისტიკის მიმართულებით. განვიხილეთ ტურიზმის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა, საუბარი გვქონდა იმ სტატისტიკურ ხერხებსა და მეთოდებზე, რომლებიც აუცილებელია ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკური ანალიზის დროს. თეორიულ საკითხებთან ერთად განვიხილეთ პრაქტიკული მაგალითები. შემოსული და გასული ტურისტების რაოდენობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები განვიხილეთ როგორც საქართველოს, ასევე შემოსული ტურისტების რაოდენობის მიხედვით მსოფლიოს ტოპ ათი ქვეყნის მაგალითზე.

შჩეჩინის უნივერსიტეტის აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა დიდი სურვილი გამოთქვა კავკასიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობაზე არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის კუთხით, არამედ სტუდენტთა მობილობის მიმართულებით.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლას ამ შესაძლებლობისთვის!